არაოფიციალური თარგმანი

ევროკომისია

ევროკავშირის საგარეო საქმეთა და
უსაფრთხოების პოლიტიკის
უმაღლესი წარმომადგენელი

ბრიუსელი, 10.8.2022

SWD(2022)215 საბოლოო

ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი

ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ

1. წინასიტყვაობა

წინამდებარე ანგარიშში განხილულია საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული **ასოცირების შესახებ შეთანხმებით** (AA) ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ანგარიში ასახავს პერიოდს ბოლო მოხსენების გამოქვეყნებიდან (2021 წლის 5 თებერვალი) საბჭოს მორიგ სხდომამდე, რომელიც 2022 წლის 6 სექტემბერს არის დაგეგმილი.

მთავრობის თავდაპირველ განზრახვას, **ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი** 2024 წელს წარედგინა, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომის და უსაფრთხოებისთვის მისი შედეგების კონტექსტში ბიძგი მიეცა. 2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი წარადგინა. 17 ივნისს[1] ევროკომისიამ წარმოადგინა თავისი მოსაზრება, რომელშიც ევროპულ საბჭოს საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების თაობაზე რეკომენდაცია გაუწია. კომისიამ ასევე გაწია რეკომენდაცია, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მას შემდეგ მიენიჭოს, რაც მთელი რიგი პრიორიტეტებისა იქნება შესრულებული. 2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ ამ რეკომენდაციას მხარი დაუჭირა[2]. მან აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა და გამოთქვა მზადყოფნა კანდიდატის სტატუსის მინიჭებისა მას შემდეგ, რაც პრიორიტეტები დაკმაყოფილდება.

ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმება **რეფორმების მამოძრავებელი ძალა** იყო. მოლაპარაკებები 2021-2027 წლებისთვის ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების დღის წესრიგის შესახებ 2022 წლის გაზაფხულზე დასრულდა და ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების საბჭოს მიერ მისი მიღება ახლოვდება. მთლიანობაში, ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ფარგლებში კარგად მიმდინარეობს და პროგრესირებს, თუმცა მომსახურების სფეროში გარკვეული შეფერხებები არსებობს. ყველა ძირითადი ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე საქართველოში, ადგილზეა და ფუნქციონირებს. ევროკავშირი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად

[1] https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_3790

[2] https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/06/23/european-council-conclusions-on-ukraine-the-membership-applications-of-ukraine-the-republic-of-moldova-and-georgia-western-balkans-and-external-relations-23-june-2022/.

რჩება (მთლიანი ვაჭრობის 21,1%). საქართველოს ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკის გამოცდილება გააჩნია. რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვებს, სახელმწიფო შესყიდვების საგზაო რუქის პირველი ეტაპის პოზიტიურმა შეფასებამ განაპირობა საქართველოსა და ევროკავშირის ოპერატორების ორმხრივი წვდომა საქონლის საჯარო შესყიდვებზე ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების დონეზე. გარკვეული წინსვლა ასევე მიღწეული იქნა გარემოსდაცვით და კლიმატის პოლიტიკაში, სხვა საკითხებთან ერთად გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონისა და ჰაერის დაბინძურებისა და ემისიების შემცირებაზე მიმართული საკანონმდებლო პაკეტის მიღების გზით. საქართველომ განაახლა თავისი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი (NDC), როგორც ამას პარიზის ხელშეკრულება მოითხოვს და მიიღო 2030 წლამდე კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2023 წლებისთვის. 2021 წლის 7 დეკემბერს კომისიამ და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც საქართველოს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამა Horizon Europe - ჰორიზონტ ევროპასთან (2021-2027) ასოცირების სტატუსს ანიჭებს. მოსალოდნელია, რომ ეს საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას ხელს შეუწყობს.

2021 წელს **გამოწვევები** ქვეყნის დემოკრატიულ საფუძვლებს ძირის გამოთხრის საფრთხეს უქმნიდა, მათ შორის - 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეზღუდვები პარლამენტის ფუნქციონირებაში; ადგილობრივი არჩევნების ჩატარების ხარვეზები; 2021 წლის ივლისის ძალადობა ჟურნალისტებისა და ლესბოსელების, გეების, ბისექსუალების, ტრანსგენდერების, ინტერსექს და ქვირ პირთა (LGBTIQ) წინააღმდეგ შემდგომი არსებითი გამოძიების გარეშე; ცნობები ქართული და დიპლომატიური საზოგადოების ნაწილის მოსმენების შესახებ. გასული წლის განმავლობაში სასამართლო სისტემის რეფორმა შეფერხდა და ძირითად სფეროებში რეგრესიც კი განიცადა. რამდენიმე უმნიშვნელოვანესი კანონი დაჩქარებული წესით იყო მიღებული პარლამენტის მიერ ევროკავშირის ან ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ აუცილებელი კონსულტაციებისა და ანალიზის გარეშე. ეს კანონები სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას, დანიშვნის საკვანძო პროცედურებს, ფარული თვალთვალის პროცედურებს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაშლას მოიცავდა.

2021 წლის 19 აპრილს პოლიტიკურმა პარტიებმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის უპრეცედენტო მაღალი დონის მედიაციის შედეგად **პოლიტიკურ შეთანხმებას** მიაღწიეს. შეთანხმება მიზნად ისახავდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტის ფუნქციონირების აღდგენას და პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებას ერთობლივი რეფორმების დღის

წესრიგზე შეთანხმების საშუალებით. შეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა.

2021 წელს გაგრძელდა COVID-19 პანდემიის მნიშვნელოვანი **სოციალურ-ეკონომიკური გავლენა** საქართველოზე და არსებული მოწყვლადობა კიდევ უფრო გამწვავდა. ეკონომიკამ სწრაფი აღდგენა 2021 წლის აპრილში დაიწყო, როდესაც მთავრობამ გააუქმა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების უმეტესი ნაწილი. რუსეთისა და უკრაინის ბაზრებზე საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დამოკიდებულების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ რუსეთის აგრესიული ომი უკრაინის წინააღმდეგ უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2022 წლის მშპ-ს პროგნოზირებული ზრდა 6%-დან 3%-ზე შეცვალა.

2021 წელს ევროკავშირმა გააგრძელა **COVID-19 პანდემიასთან** დაკავშირებული დახმარება, მათ შორის ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის მეშვეობით და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისა და მდგრადი აღდგენის მხარდაჭერის გზით. 2020 წელს კრიზისულ სიტუაციებში მოწოდებული დაუყოვნებლივი დახმარება პანდემიის გავრცელებასთან ბრძოლაზე იყო მიმართული. 2021 წელს მას დაემატა სტრატეგიული ძალისხმევა ძლიერი და მდგრადი ეკონომიკური აღდგენის შემდგომი ხელშეწყობისთვის და საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის[3] განხორციელებას. „უკეთესად აღდგენის“ მიდგომის შესაბამისად, ევროკავშირმა მხარი დაუჭირა მთავრობას შეეცვალა თავისი პოლიტიკა და რეაგირება COVID-19 პანდემიაზე უფრო სუფთა გარემოსა და ეკოლოგიურად დაბალანსებულ ეკონომიკაზე გადასვლით.

რუსეთის აგრესიულ ომს უკრაინის წინააღმდეგ სერიოზული შედეგები მოჰყვა საქართველოსთვის უსაფრთხოების ვითარების კუთხით, რაც გამწვავდა თვითგამოცხადებულ რეგიონებში რუსეთის ჯარების ყოფნით. ამან ასევე იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე, რადგან უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. ევროკავშირმა კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს მედეგობის მხარდაჭერა, მათ შორის ევროპის სამშვიდობო ფონდის მეშვეობით. მთავრობამ რუსეთსა და ბელარუსს სანქციები არ დაუწესა, მაგრამ მიიღო ზომები ევროკავშირის ზოგიერთი სანქციის პრაქტიკაში განსახორციელებლად და სანქციების გვერდის ავლის თავიდან ასაცილებლად. ევროკავშირი კვლავ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

[3] swd_2021_186_f1_joint_staff_working_paper_en_v2_p1_1356457_0.pdf (europa.eu)

2021 წლის 6-7 ივლისს საქართველოს ეწვია ევროკომისარი სამეზობლო და გაფართოების საკითხებში, რათა წარედგინა რეგიონის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა და მისი საფლაგმანო ინიციატივები საქართველოსთვის. 26 ივნისს საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის / ვიცე-პრეზიდენტის დავალებით სამხრეთ კავკასიაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ავსტრიის, ლიტვის და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ეწვივნენ. მათ საქართველოს ევროპის სოლიდარობა და ჩართულობა, რეგიონის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კეთილდღეობისადმი მისი ერთგულება აღუქვეს და ხაზგასმით აღნიშნეს შიდა რეფორმების გაგრძელების აუცილებლობა.

2. პოლიტიკური დიალოგი, კარგი მმართველობა და ინსტიტუტების გაძლიერება

2.1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა

2021 წელს დიდი პოლიტიკური მოვლენები და საქართველოს პოლიტიკის პოლარიზაციის შემდგომი გაღრმავება აღინიშნებოდა.

2020 წლის საპარლამენტო **არჩევნების** პოლიტიკური შედეგები 2021 წლის პირველ თვეებში გრძელდებოდა. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (ეუთო) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ოდირის)[4] არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნითი ანგარიშის თანახმად, არჩევნები კონკურენტულ გარემოში ჩატარდა და საერთო ჯამში, ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო. თუმცა, არჩევნების ჩატარებაზე გავლენა მოახდინა ამომრჩევლებზე ზეწოლასთან დაკავშირებულმა და მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში და არჩევნების დღეს მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვარის ბუნდოვანების შესახებ გავრცელებულმა ბრალდებებმა, რამაც პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობა შეამცირა. ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვის ქვეშ დააყენეს და მანდატების აღებაზე უარი განაცხადეს. 2021 წლის 19 აპრილის პარტიების ჩართულობით მიღწეულმა პოლიტიკურმა შეთანხმებამ, რომელიც ევროკავშირის ხელშეწყობით ფასილიტაციისა და მედიაციის ძალისხმევის კულმინაციას წარმოადგენდა, ოპოზიციის ბოიკოტი დაასრულა და ძირითადი რეფორმების წინ წაწევის საერთო გზა გამოკვეთა. შეთანხმება ითვალისწინებდა საარჩევნო და სასამართლო რეფორმებს, ძალაუფლების განაწილებას და 2022 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების

[4] https://www.osce.org/files/f/documents/1/4/480500.pdf

შესაძლებლობას, თუ მმართველი პარტია 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე ხმების 43%-ს არ მიიღებდა. შეთანხმებას თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და პარლამენტის წევრმა ხელი მოაწერა. თუმცა, მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ შეთანხმებიდან 2021 წლის ივლისში გავიდა და უმსხვილესი ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ნაციონალური მოძრაობა) შეთანხმებას მხოლოდ „ქართული ოცნების“ გასვლის შემდეგ შეუერთდა. შეთანხმების ძირითადი ნაწილები - განსაკუთრებით სასამართლო რეფორმა და ძალაუფლების განაწილება პარლამენტში - ამ ანგარიშის დაწერის დროს კვლავ შეუსრულებელი რჩება.

2021 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, გახანგრძლივდა შეჯამების ვადა, დაწესდა შემთხვევითი წესით შერჩეული შედეგების სავალდებულო გადათვლა და შემოღებულ იქნა გარანტიები საარჩევნო უბნების შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით. თუმცა, რიგი ოდირის წინა რეკომენდაციებისა გაუთვალისწინებელი დარჩა. საარჩევნო ბარიერისა და ფრაქციის (პოლიტიკური ჯგუფის) ფორმირების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებები 2021 წლის სექტემბრიდან არის პარლამენტში განსახილველად წარდგენილი.

2021 წლის ოქტომბერში ადგილობრივი არჩევნები გაიმართა. ეუთო / ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის[5] საბოლოო ანგარიშის მიხედვით, არჩევნები ზოგადად კარგად იყო ადმინისტრირებული, მაგრამ მუდმივმა პოლარიზაციამ, ნეგატიური რიტორიკის გამწვავებასთან ერთად, უარყოფითად იმოქმედა პროცესზე. საარჩევნო კამპანია კონკურენტული იყო და კანდიდატებს, როგორც წესი, შესაძლებლობა ჰქონდათ საარჩევნო კამპანია თავისუფლად წარემართათ, მაგრამ ბრალდებები ამომრჩეველთა დაშინებისა და ზეწოლის შესახებ გაგრძელდა. რესურსებს შორის მკვეთრი დისბალანსი და ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული უპირატესობა მმართველ პარტიას აძლევდა ხელს და საასპარეზო პირობები შეცვალა.

2021 წლის განმავლობაში **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური** სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად მუშაობას აგრძელებდა. 2021 წლის 30 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაშლის შესახებ არსებითი წინასწარი კონსულტაციების გრეშე. მისი ფუნქციები გადაეცა ორ ცალკეულ უწყებას და სახელმწიფო ინსპექტორი თანამდებობიდან ფორმალური პროცედურის გარეშე გაათავისუფლეს, რამაც ინსტიტუციური დამოუკიდებლობისთვის საფრთხესთან

[5] https://www.osce.org/files/f/documents/3/a/515364_0.pdf

დაკავშირებით შეშფოთება გამოიწვია. ეუთო / ოდირის *2022 წლის 18 თებერვლის მოსაზრებით საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ*[6] დადგინდა, რომ პროცესი, რომლითაც ეს ცვლილებები განხორციელდა, საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობასა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების ფუნქციონირებას საქართველოში.

პოლიტიკურად სენსიტიური სასამართლო საქმეები 2021 წელს განაგრძობდა პოლიტიკურ ლანდშაფტზე გავლენას. ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეს, ნიკანორ მელიას საპარლამენტო იმუნიტეტი მოუხსნეს და 2021 წლის თებერვალში დააკავეს, მას შემდეგ, რაც მან უარი თქვა გირაოს გადახდაზე წინა სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მისმა დაკავებამ შემდგომი პოლარიზაცია გამოიწვია. 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების ფარგლებში, მისი გირაო ევროკავშირში დაფუძნებულმა ავტონომიურმა ორგანიზაციამ გადაიხადა. თბილისის საქალაქო სასამართლომ თაღლითობაში დამნაშავედ ცნო თიბისი ბანკის დამფუძნებლები და პოლიტიკური პარტია ლელო 2022 წლის იანვარში; ბრალდება და პროცესი სახალხო დამცველის აპარატმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გააპროტესტეს. 2022 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანია „მთავრის“ დირექტორის ბ-ნ გვარამიას საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა და მას 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც ორჯერ არის მსჯავრდებული და რომელსაც წინ კიდევ სამი სასამართლო პროცესი ელოდება, საქართველოში დაბრუნების შემდეგ დააკავეს და დაპატიმრეს. 2021 წლის შემოდგომაზე, ბ-ნი სააკაშვილის ციხეში ყოფნის ვიდეომასალის გამოქვეყნებამ და სათანადო ჯანდაცვისა და სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლების სავარაუდო დარღვევამ შეშფოთება გამოიწვია. ბ-ნ სააკაშვილის სასამართლო საქმეზე განაჩენის გამოტანამდე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2021 წლის ნოემბერში დროებითი ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება გამოგზავნა. მან დაავალა მთავრობას მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და უზრუნველყო შესაბამისი სამედიცინო დახმარება და უსაფრთხოება. მან ასევე ბ-ნ სააკაშვილს შიმშილობის შეწყვიტისკენ მოუწოდა. სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანის შემდეგ, ბ-მა სააკაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა და სამედიცინო რეაბილიტაცია დაიწყო. თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილება ქვეყნის იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაჯარიმების შესახებ ბ-ნ სააკაშვილის ამსახველი ვიდეომასალის გავრცელებისთვის.

[6] https://www.osce.org/files/f/documents/d/1/512728.pdf

საქართველოს **მედიაგარემო** კვლავ პლურალისტური და კონკურენტუნარიანია, მაგრამ ასევე ძალზე პოლარიზებული. საქართველომ 2022 წლის მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლით 180 ქვეყანას შორის 89-ე ადგილი დაიკავა[7]. ეს წარმოადგენს საქართველოში მედიის თავისუფლების მნიშვნელოვან გაუარესებას 2021 წელთან შედარებით, განსაკუთრებით ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან მიმართებაში. თავისუფლების სახლის (Freedom House) რეიტინგი შემცირდა და საერთო "თავისუფლების ქულა" არის 58/100 2022[8] წელს 60/100-თან შედარებით 2021 წელს და 61/100 2020 წელს. ულტრამემარჯვენე ჯგუფმა ალტინფომ მთელი ქვეყნის მასშტაბით სატელევიზიო მაუწყებლობის უფლება მოიპოვა.

2021 წლის 5 ივლისს თბილისში **ღირსების მარში** გაუქმდა მას შემდეგ, რაც ძალადობრივი დემონსტრანტები შეიჭრნენ ლგბტიქ აქტივისტების შტაბ-ბინაში და თავს დაესხნენ ჟურნალისტებსა და სამოქალაქო პირებს. მთავრობამ და სამართალდამცავებმა მშვიდობიანი შეკრების უფლება და მომიტინგეების უსაფრთხოება საკმარისად ვერ დაიცვეს. თავდამსხმელების წინააღმდეგ სამართლებრივი ღონისძიებები გრძელდება; თუმცა კოორდინირებული თავდასხმის ორგანიზატორებს ბრალი არ წაუყენეს.

2021 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა ცნობები ქართველი საზოგადოებისა და დიპლომატების ფართო **მოსმენების** შესახებ. მედიამ მიიღო წვდომა დიდი რაოდენობით ფაილებზე, რომელიც პირად სატელეფონო საუბრებს ეფუძნებოდა. საქართველოს ხელისუფლების მიერ დაწყებული გამოძიება ჯერ არ დასრულებულა. 2022 წლის 7 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის შესაბამისად მატულობს სამართალდარღვევათა რაოდენობა, რომელთა მიმართებაში ნებადართული იქნება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ხოლო ამ მოქმედებების ხანგრძლივობა იზრდება. ამან გამოიწვია შეშფოთება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებით. 2022 წლის 22 ივნისს პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა კანონს ვეტო დაადო.

საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმასთან (PAR) დაკავშირებთ, მთავრობის №629 განკარგულების შესრულება პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით წინ წაიწია. საქართველოს სამინისტროები სულ უფრო ხშირად

[7] https://rsf.org/en/index

[8] https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2022

იყენებენ დამხმარე სახელმძღვანელოს საჯარო პოლიტიკის შემუშავების შესახებ, როგორც ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს. იგი ქმნის მარეგულირებელ და პროცედურულ საფუძველს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართებული პოლიტიკის შემუშავებისთვის. მთავრობის ადმინისტრაციას ამჟამად შეუძლია განახორციელოს ახლად შემუშავებული სტრატეგიების საბაზისო შემოწმება; ყველა სამინისტრომ იცის ახალი მოთხოვნები და თანდათანობით დაიწყო მათი შესრულება. საჯარო სამსახურის რეფორმასთან დაკავშირებით შემუშავდა ახალი გაიდლაინები და ადამიანური რესურსების მართვის მოხელეების ტრენინგი ჩაუტარდათ. საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის უფლებამოსილება 2022 წლის 30 ივნისს ამოიწურა, ახალი უფროსი ჯერ არ დანიშნულა. საჯარო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგია 2022 წლის 12 აპრილს იქნა მიღებული. იგი ადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს საჯარო სერვისების შემუშავების, მიწოდებისა და ხარისხის კონტროლის შესახებ. რეფორმის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება 2021 წლის დასაწყისიდან იყო მოსალოდნელი. საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმის საბჭო ერთხელ (ონლაინ რეჟიმში), 2021 წლის შემოდგომაზე შეიკრიბა.

სამოქალაქო საზოგადოება კვლავ ძალიან აქტიურად იყო ჩართული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ჩათვლით, პოლიტიკის ფორმულირებასა და მთავრობის ანგარიშვალდებულების საკითხში, მათ შორის, ადგილობრივ დონეზე. კორონავირუსის პანდემიის ფონზე სამოქალაქო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გაჭირვებაში მყოფთა დახმარების უზრუნველყოფაში.

სახალხო დამცველი და მისი აპარატი აქტიურად აგრძელებდა თავისი სამეთვალყურეო როლის შესრულებას. მისი მანდატის შესაბამისად გაცემული რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. ოფისმა განიცადა ზეწოლა იმის გამო, რომ ხმამაღლა ეხმაურებოდა გარკვეულ პოლიტიკურად სენსიტიურ საკითხებს, მათ შორის „თბილისის პრაიდს“ და ყოფილი პრეზიდენტის სააკაშვილის პატიმრობის პირობებს; განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატის დამოუკიდებლობის შერყევისა და მისი თანამშრომლების კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების მცდელობები .

მოსალოდნელია **ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა** და სამოქმედო გეგმის მიღება 2021-2030 წლებისთვის.

თანასწორი უფლებები და მოპყრობა, განსაკუთრებით ლგბტიქ თემის მიმართ, 2021 წელს ზეწოლას ექვემდებარებოდა, რაც 2021 წლის 5 ივლისის ძალადობამ აჩვენა.

2021 წელს[9] ქალებისა და მამაკაცების უთანასწორობის გლობალური ინდექსის მონაცემებით საქართველომ 154 ქვეყანას შორის 49-ე ადგილი დაიკავა, ხოლო 2022 წლისთვის 146 ქვეყანას შორის 55-ე ადგილი და მისი საერთო ქულა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში უმნიშვნელო გაუმჯობესებას აჩვენებს. თუმცა, ზოგიერთ სფეროში (მაგალითად, განათლების დონე, ჯანმრთელობა, სიცოცხლისუნარიანობა და პოლიტიკური უფლებამოსილება) მისი ქულა გაუარესდა.

გენდერული თანასწორობა კვლავ გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით გენდერული და ოჯახში ძალადობის საკითხები. ეს ცხადყოფს გადარჩენილთა მხარდაჭერის გაძლიერების, დამნაშავეთა რეაბილიტაციის პროგრამების და ცნობიერების ამაღლების კამპანიების მნიშვნელობას, განსაკუთრებით ადგილობრივი თემის დონეზე. 2020 წლის დეკემბერში მთავრობამ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფს (GREVIO) წარუდგინა თავისი პირველი ანგარიში სტამბულის კონვენციის განხორციელების შესახებ. ეს ანგარიში ამჟამად შეფასების პროცესშია. 2021 წლის ოქტომბერში საქართველოს კოალიციამ თანასწორობისთვის და სხვა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა GREVIO-სთვის ჩრდილოვანი ანგარიში გამოაქვეყნეს.

2021 წლის ოქტომბერში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა. გამოყენებული იყო გენდერული კვოტები: პარტიებს უნდა უზრუნველეყოთ, რომ ადგილობრივი საკრებულოს საარჩევნო სიებში 4 კანდიდატიდან მინიმუმ 1 ქალი ყოფილიყო. ამის შედეგად 2017 წლის არჩევნებთან შედარებით არჩეული ქალების წილი 19.6%-დან 31.4%-მდე გაიზარდა. საქართველოს პირველად ჰყავს 3 მერი ქალი (64-დან).

COVID-19 პანდემია კვლავ გამოწვევად რჩებოდა **ბავშვებისთვის**, დისტანციური სწავლების ხანგრძლივი პერიოდებით. ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახებში, ინტერნატებში, მშვილებელ აღმზრდელებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. შეშფოთება გამოიწვია ნინოწმინდის სკოლა-ინტერნატში ბავშვებზე სისტემური ძალადობის შესახებ ცნობებმა და სახალხო დამცველის ოფისისთვის დაწესებულებაში შესვლაზე უარის თქმის ფაქტმა. დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა ბავშვთა უფლებების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად გრძელდება.

[9] World Economic Forum, Global Gender Gap 2021: https://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2021.pdf.
World Economic Forum, Global Gender Gap 2022: WEF_GGGR_2022.pdf (weforum.org)

2021 წლის დეკემბერში მთავრობამ პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნა გაეროს **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა** უფლებების კონვენციის განხორციელების უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი.

ევროკავშირი და საქართველო თანამშრომლობდნენ ევროკავშირის ხილვადობის შემდგომი განვითარებისთვის, საერთო ღირებულებების ხელშეწყობისა და ევროკავშირის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პოზიტიური გავლენის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გასაზრდელად. ამ მიზნით, ევროკავშირმა სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში შესაძლებლობების განვითარება უზრუნველყო.

2.2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

2021 წელს საქართველოს **მაჩვენებელი** ევროკავშირის დეკლარაციებისა და საბჭოს გადაწყვეტილებების მიერთებასთან დაკავშირებით იყო 53%, რაც 2020 წლის 62%-თან შედარებით დაიწია. 2022 წლის პირველ ნახევარში ეს მაჩვენებელი კიდევ 42%-მდე შემცირდა. საქართველო კვლავ მონაწილეობდა სამოქალაქო და სამხედრო კრიზისების მართვის ოპერაციებში საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში და გააგზავნა 32 სამხედრო ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში (EUTM) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და ერთი ოფიცერი ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში მალიში. საქართველო ასევე ჩართული იყო მედიაციაში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რის შემდეგაც აზერბაიჯანმა 2021 წლის 12 ივნისს სომეხი დაკავებულები გაათავისუფლა.

ხუთწლიანი ეროვნული **ანტიტერორისტული** სტრატეგია და 2022-26 წლების სამოქმედო გეგმა 2022 წლის იანვარში იქნა მიღებული.

ევროკავშირი კვლავ სრულ მხარდაჭერას უწევს **საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში,** მათ შორის კონფლიქტების მართვასა და მოგვარებაში აქტიური როლის შესრულებით. სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობა და პროექტებით გათვალისწინებული საქმინობის ფართო სპექტრი ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების (ABL) გასწვრივ ამ მხარდაჭერის ძირითად ასპექტებს შორის რჩება.

2021 წელს **ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების** (GID) ოთხივე დაგეგმილი შეხვედრა ჩატარდა. მიუხედავად ამისა, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომის ფონზე, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების

თანათავმჯდომარეებმა გადაწყვიტეს გადაედოთ დისკუსიების 56-ე რაუნდი, რომელიც თავდაპირველად 2022 წლის მარტისთვის იყო დაგეგმილი. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეები ყველა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთქმედებას აგრძელებდნენ მაქოს დიპლომატიის საშუალებით. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე საქართველოს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რეგიონთან გაგრძელდა შეხვედრები ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში (IPRM), რაც პირისპირ დიალოგისა და ნდობის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. შეხვედრები ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რეგიონში შეჩერებულია.

უსაფრთხოების ვითარება ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებთან საქართველოს თვითგამოცხადებულ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში შედარებით სტაბილური და მართვადი რჩება.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს კვლავ არ აქვთ გადაადგილების **თავისუფლება** სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მაგალითად, სამედიცინო გადაყვანის ან მართლმადიდებლური აღდგომის დროს. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ დაკავებები მთავარ პრობლემად რჩება. მზარდი "ბორდერიზაცია" გრძელდება ორივე ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ. ანგარიშის დაწერის მომენტისთვის, აფხაზეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ გასავლელად ხელმისაწვდომი მიწების დაახლოებით 68% და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ გასავლელად ხელმისაწვდომი მიწის 50%-ზე მეტი შემოღობილია.

აფხაზეთში **ჩართულობისა** და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების მოქმედებისთვის გარემო გაუარესებას განაგრძობს, ნაწილობრივ რუსეთის მხრიდან გაზრდილი ზეწოლის გამო.

2020 წლის გაზაფხულზე დაწყებულ ფრთხილ პოზიტიურ სიგნალებს აფხაზეთის თვითგმოცხადებული რეგიონიდან თბილისთან პირდაპირი მრავალდონიანი დიალოგის დასაწყებად ხელშესახები ქმედება არ მოჰყოლია. სამხრეთ ოსეთის თვითგმოცხადებულ რეგიონში ახლად 'არჩეული'[10] დე ფაქტო პრეზიდენტმა ალან გაგლოევმა თანამდებობა 2022 წლის 24 მაისს დაიკავა.

2021 წლის ივნისიდან საქართველოს მთავრობა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით მუშაობს დეოკუპაციისა და კონფლიქტების მშვიდობიანი

[10] https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/remarks-ambassador-hartzell-so-called-presidential-elections-georgian-breakaway_en?s=221

მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიაზე. ეს სამუშაო მოიცავდა მიმოხილვას 2010 წლის *სახელმწიფო სტრატეგიისა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: ჩართულობა თანამშრომლობის გზით*, რომელსაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო სამინისტრო ხელმძღვანელობდა. სტრატეგიის შემუშავება სრულდება.

2022 წლის ივლისში ევროკავშირმა საქართველო მიიწვია ევროპის დიპლომატიურ აკადემიაში გასაწევრიანებლად.

2.3 მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკურ შეთანხმებაში და მომდევნო შემთხვევებში, მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ აიღო ვალდებულება მიეღო ამბიციური **სასამართლო რეფორმა**, როგორც პირველი ნაბიჯი ფართო, ინკლუზიური პარტიებს შორის შეთანხმებული რეფორმის პროცესისა. მიუხედავად ამისა, სასამართლო სისტემაში წარდგენისა და დანიშვნის პროცესები 2021 წელს კომპლექსური რეფორმების გარეშე გაგრძელდა.

სასამართლო სისტემაში რეფორმები გასული წლის განმავლობაში შეჩერდა და საკვანძო სფეროებში რეგრესიც კი განიცადა. საქართველოს ხელისუფლებამ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და ხარისხის გაზარდის ვალდებულება არაერთხელ აიღო, მათ შორის **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა** დანიშვნის დაწყებამდე მათი **შერჩევის პროცესში** ცვლილებების შეტანის საშუალებით ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ზედიზედ სამ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად. თუმცა, 2021 წლის 12 ივლისს, 1 დეკემბერს და 29 დეკემბერს, შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მთლიანობაში 11 მოსამართლე დაინიშნა. 2019-2021 წლებში საქართველოს პარლამენტმა 28-ვე ახლადარჩეული მოსამართლე, ოპოზიციური პარტიების ძალზე შეზღუდული მხარდაჭერით უვადოდ დანიშნა. 2021 წლის აპრილში საერთო სასამართლოების შესახებ კანონში მცირე ცვლილებები შევიდა. მიუხედავად ამისა, მოსამართლეთა წარდგენის პროცესში ხანგრძლივად არსებული ხარვეზები (კერძოდ, გასაჩივრების პროცესის არარსებობა) აღმოუფხვრელი რჩება ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიუხედავად. ეუთო/ოდირის საბოლოო მონიტორინგის ანგარიშის[11] თანახმად, პარლამენტის მიერ განხორციელებული დანიშვნის პროცედურის ეტაპი კვლავინდებურად არ ითვალისწინებს საკმარის

[11] https://www.osce.org/odihr/496270

სამართლებრივ გარანტიებს, რაც უარყოფითად აისახება მთლიანი პროცესის კეთილსინდისიერებაზე.

მიუხედავად ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მოწოდებისა, შემდგომ სასამართლო დანიშვნებში პაუზა გაკეთებულიყო, მოსამართლეთა კონფერენციამ **იუსტიციის უმაღლეს საბჭოში** 2021 წლის 26 მაისს და 31 ოქტომბერს, შესაბამისად მთლიანობაში ექვსი მოსამართლე წევრი დანიშნა. ეს გაკეთდა ნაჩქარევად, წინასწარი განცხადების და საჭირო შემოწმების გარეშე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოცხადებული ვაკანსია შეუვსებელი დარჩა. მოსალოდნელია, რომ ეს არამოსამართლე წევრები უფრო ფართო კონსენსუსის საფუძველზე (პარლამენტის სამი მეხუთედის უმრავლესობით) შეირჩევიან და სამოქალაქო საზოგადოებასა და აკადემიურ წრეებს წარმოადგენენ.

2021 წლის 30 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ. პროექტის შემუშავების პროცესში არ ჩატარებულა კონსულტაციები და დაჩქარებული პროცედურის გატარების დასაბუთება არ ყოფილა. ცვლილებებმა გააძლიერა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოზიცია, შექმნა მოსამართლეთა ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანის შესაძლებლობა ევროსტანდარტებით მოთხოვნილი შეზღუდვების გარეშე და დისციპლინური სამართალწარმოების ახალი საფუძველი. ვენეციის კომისიამ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მოთხოვნილ დასკვნაში[12], გამოთქვა შეშფოთება გადამეტებულ დაჩქარებასთან, ინკლუზიური და ეფექტიანი კონსულტაციების ნაკლებობასთან და ამ ცვლილებების მოტივების გამჭვირვალობის ნაკლებობასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის ივნისის გადაწყვეტილების შესასრულებლად პარლამენტს 2021 წლის ივლისში წარედგინა კანონპროექტი, რომელიც ადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების წესებს. გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული.

მომავალი **გენერალური პროკურორების** არჩევისთვის, 2021 წლის 29 ივნისს წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრას. თუმცა, ვენეციის კომისიის არსებული რეკომენდაციების და 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების

[12] https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2022)010-e&fs=e&s=cl&fbclid=IwAR2_mCxhO4261HKLy5Y1hotA2I3-bh4v9cy1hHSixS5ZglaTnDF9SZ70Fz4

მიუხედავად, ეს დებულება პარლამენტში პირველი კენჭისყრის შემდეგ არ შენარჩუნდა.

სისხლის სამართლის საკითხებთან თანამშრომლობის მიმართებაში, საქართველომ განაგრძო საერთაშორისო სამართალდამცავი თანამშრომლობის გაძლიერება ევროპის პოლიციის სამსახურთან (Europol) და სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოსთან (CEPOL), მათ შორის რეგიონული ინიციატივების კუთხით, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაზე არის მიმართული. რაც შეეხება თანამშრომლობას სამოქალაქო საკითხებთან მიმართებაში, ამ მიმართულებით სიახლეები არ არის, განსაკუთრებით ჰააგის კონვენციების ხელმოწერა / რატიფიცირებასთან დაკავშირებით.

2021 წლის 30 სექტემბერს მთავრობამ მიიღო კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2024 წლებისთვის. 2021 წლის ივნისში ცვლილებები შევიდა კანონში ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, რითაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მიანიჭა მანდატი, კოორდინირება და ზედამხედველობა გაუწიოს საჯარო სექტორში კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოების ასპექტებს. პარლამენტის თავმჯდომარემ საჯაროდ აიღო ვალდებულება ახალი კანონის შემუშავებისა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონის“ ჰარმონიზაციისთვის ქსელებისა და ინფორმაციული სისტემების ევროკავშირის დირექტივასთან[13]. ვალდებულება მოგვიანებით ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგში აისახა.

რაც შეეხება **ორგანიზებული დანაშაულის** პრევენციასა და მასთან ბრძოლას, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2022 წლებისთვის 2021 წლის 14 სექტემბერს დამტკიცდა. 2021-2025 წლების ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო სტრატეგია მიღებულ იქნა 2021 წლის 11 ივლისს. გაგრძელდა სამართალდამცავი უწყებების ინსტიტუციური განვითარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყურადღების გამახვილებით ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობაზე და ორგანიზებულ (მათ შორის ტრანსსასაზღვრო) დანაშაულთან ბრძოლის სპეციალურ საგამოძიებო მეთოდებზე.

[13] https://parliament.ge/en/media/news/parlamentma-informatsiuli-usafrtkhoebis-shesakheb-kanonshi-dagegmili-tsvlilebebi-mesame-mosmenit-miigho

საპოლიციო რეფორმა გაგრძელდა და ყურადღება შემდეგ საკითხებზე გამახვილდა: (i) პროკურორებსა და გამომძიებლებს შორის როლების გამიჯვნა (ii) პოლიციის თანამშრომლების ოპერატიული და საგამოძიებო როლების გამიჯვნა; (iii) ანალიზზე დაფუძნებული და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის გაფართოება; (iv) ცენტრალიზებული ანალიტიკური მუშაობის გაღრმავება; (v) კიბერდანაშაულისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება; და (vi) უფრო მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევა.

კორუფციის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას რაც შეეხება, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტიდან მთავრობის ადმინისტრაციაში 2021 წლის 16 მარტს გადავიდა[14]. ეს გადასვლა ჯერ პრაქტიკაში სრულად არ განხორციელებულა, 2022 წლის ივლისის ბოლოსთვის მხოლოდ სამი თანამშრომელი იყო აყვანილი. შესაბამისად, ახალი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის მომზადება და მიღება და ანტიკორუფციული რისკის შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვა გადაიდო.

2020 წლის საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) კორუფციის აღქმის ინდექსის[15] მიხედვით, საქართველო 180 ქვეყანას შორის 45-ე ადგილზე იყო, როგორც 2020 წელს, მაგრამ მისი ქულა (55/100) ერთი ქულით შემცირდა. მოხსენებაში მითითებულია, რომ საქართველოში ანტიკორუფციული რეფორმები ფერხდება პოლიტიკური კრიზისისა და სახელმწიფოს მიტაცების ბრალდებების ფონზე. მსოფლიო ბანკის 2020 წლის კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი[16] იყო 71.63, 2019 წლის 75-თან შედარებით, რაც კლების ტენდენციაზე მიუთითებს.

---

[14] საჯარო დაწესებულებებში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის მე-5 პუნქტში შესული ცვლილებები.

[15] ინდექსს 1995 წლიდან ყოველწლიურად არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აქვეყნებს. 2021 წლის ინდექსი, რომელიც გამოქვეყნდა 2022 წლის იანვარში, აფასებს 180 ქვეყანას 100-დან (ძალიან სუფთა) 0-მდე (ძალიან კორუმპირებული) ქულით 2020 წლის მაისდან 2021 წლის მაისამდე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე.

[16] კორუფციის კონტროლი ასახავს აღქმას, თუ რამდენად სახელმწიფო ხელისუფლება კერძო სარგებლისთვის გამოყენება, მათ შორის კორუფციის როგორც მცირე, ისე დიდი ფორმების ჩათვლით, ასევე ელიტებისა და კერძო ინტერესების მიერ სახელმწიფოს ‘მიტაცებას’ (https://info.worldbank.org/governance/wgi/Home/Reports).

ევროპის საბჭოს ანტიკორუფციულმა ორგანომ – „სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ“ (GRECO), მიიღო *„მეორე შესაბამისობის ანგარიში - საქართველო“*[17] თავის 87-ე პლენარულ სხდომაზე (2021 წლის 22-25 მარტი) და ამ ანგარიშის დანართი[18] 91-ე პლენარულ სხდომაზე (2022 წლის 13-17 ივნისი). ანგარიში აფასებს კორუფციის პრევენციის ზომებს, პარლამენტის წევრებთან, მოსამართლეებთან და პროკურორებთან მიმართებით. ამ ანგარიშის მიხედვით, *შეფასების მეოთხე ანგარიშში*[19] (2017) შეტანილი 16 რეკომენდაციიდან 8 იყო დამაკმაყოფილებლად შესრულებული, 6 ნაწილობრივ და 2 არ შესრულებულა.

2019 და 2020 წლებში[20] მიღებულ კანონმდებლობასა და რისკის შეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, საქართველომ 2021 წელს განაახლა **ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის** ეროვნული საკანონმდებლო ბაზა. მან შეიმუშავა რამდენიმე ინსტრუმენტი და პროცედურა სამართლებრივი მოთხოვნების რეალიზებისთვის, კანონმდებლობის თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად და რისკზე დაფუძნებული მიდგომის პრაქტიკული გამოყენებისთვის შესაბამისი უწყებებისა და ორგანოების მიერ[21].

---

[17] https://rm.coe.int/fourth-evaluation-round-corruption-prevention-in-respect-of-members-of/1680a21666

[18] https://rm.coe.int/fourth-evaluation-round-corruption-prevention-in-respect-of-members-of/1680a7398c?fbclid=IwAR0NTWRzvZ9CT5EUU4JMRNe49HZ-hLuOyNfffUc3mfkN6lvoleOvTWYwBrI

[19] ევროპის საბჭო: სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO), კორუფციის პრევენცია პარლამენტის წევრებთან, მოსამართლეებთან და პროკურორებთან მიმართებით. შეფასების მეოთხე ანგარიში, საქართველო, 17 იანვარი 2017, GrecoEval4Rep(2016)3, ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/docid/587f7a9f4.html

[20] ანგარიშვალდებული უწყების მიერ ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვისა და შენახვის და ამ ინფორმაციის წარდგენის წესები საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში (ფმს) (ფმს-ის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №1 ბრძანება); ანგარიშვალდებული უწყების მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და გადამოწმების პროცედურა (ფმს-ის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანება); https://fms.gov.ge/eng/page/other-normative-acts.

[21] მაგალითად: (i) ინსტრუქცია ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის შესახებ (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 15 ივნისის ბრძანება #74/04); (ii) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ანგარიშვალდებული უწყების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის (AML/CFT) რისკების შეფასების შესახებ რეკომენდაცია (საქართველოს სადაზღვევო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 22 ივლისის მეთოდოლოგიური რეკომენდაცია); და (iii) აზარტული თამაშების ან/და სხვა საპრიზო თამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ სისტემაზე დაფუძნებული და ელექტრონული ფორმით მოთამაშის რეგისტრაციის,

2021 წლის 5 თებერვალს **ნარკომანიასთან** ბრძოლის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო 2021-2026 წლების ნარკომანიის პრევენციის პირველი ეროვნული სტრატეგია. საბჭომ ასევე დაამტკიცა 2021-2022 წლების ნარკოტიკების საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა.

საქართველოს მოქალაქეებმა 2017 წლის მარტში **უვიზო მიმოსვლის რეჟიმის** ძალაში შესვლის შემდეგ შენგენსა და შენგენთან ასოცირებულ ქვეყნებში დაახლოებით 1,5 მილიონი ვიზიტი განახორციელეს. მეოთხე ანგარიში სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში 2021 წლის 4 აგვისტოს იქნა მიღებული[22]. ანგარიშის მიხედვით, ზოგადად, საქართველო აგრძელებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ნიშნულების შესრულებას და მიიღო ზომები წინა ანგარიშში კომისიის რეკომენდაციების განსახორციელებლად. თუმცა, საჭიროა შემდგომი მუშაობა ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, როგორიც არის: წევრ ქვეყნებში თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნები, ბრძოლა ფულის გათეთრების წინააღმდეგ, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

გრძელდება საქართველოს ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის მარეგულირებელი კანონის იმპლემენტაცია, მათ შორის, აუცილებელი პროცედურების, ტრენინგებისა და პერსონალის უზრუნველყოფით.

2021 წლის თებერვალში საქართველომ განაახლა სამუშაო შეთანხმებები **ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (Frontex)** ოპერატიული თანამშრომლობისთვის, მათ შორის ინფორმაციის გაცვლის, რისკების ანალიზისა და შესაძლებლობების ამაღლებისთვის. 2021 წლის და 2022 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საქართველომ განაგრძო თანამშრომლობა ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპულ ცენტრთან, ევროპის პოლიციის სამსახურთან (Europol) და სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოსთან (CEPOL), ასევე კრიმინალური საფრთხეების წინააღმდეგ ევროპული მულტიდისციპლინური პლატფორმის ფარგლებში. 2021 წელს საქართველო ევროპის მიგრაციის ქსელს დამკვირვებლის სტატუსით შეუერთდა.

ხორციელდება საქართველოს 2021-2030 წლების არსებული **მიგრაციის** სტრატეგია. საზღვრის მართვის სტრატეგია 2019 წლის შემდგომი პერიოდისთვის ჯერ არ არის დამტკიცებული.

იდენტიფიკაციისა და გადამოწმების წესები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 26 თებერვლის ბრძანება #343).

[22] COM(2021) 602 final

საქართველოს ხელისუფლებამ მუდმივი ყურადღება უნდა მიაქციოს მის ტერიტორიაზე შემოსვლის ხელმისაწვდომობას და პროცედურებს იმ პირთათვის, რომელთაც სურთ თავშესაფარი მოითხოვონ, მათ შორის, არგაძევების პრინციპის ჩათვლით. თავშესაფრის ზოგიერთი მოთხოვნა გაუმჭვირვალედ უარყოფილი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების მოტივით.

2021 წლის აგვისტოში წარმოდგენილი იყო მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების ახალი სამოქმედო გეგმა.

2021 წლის 9 ნოემბერს ევროკავშირი-საქართველოს რეადმისიის ერთობლივი კომიტეტის მე-11 შეხვედრამ დაადასტურა წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის ძალიან კარგი თანამშრომლობა დაბრუნებისა და რეადმისიის საკითხებში და რეადმისიის შეთანხმების დამაკმაყოფილებელი განხორციელება. წევრი სახელმწიფოების მიერ წარდგენილ რეადმისიის მოთხოვნებზე დადებითი პასუხის მაჩვენებელი 2021 წლის პირველიდან მესამე კვარტალამდე მაღალი იყო. წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული დაბრუნების გადაწყვეტილებების რაოდენობა შემდგომში შემცირდა 10,660-მდე, 2020 წლის 12,120-თან შედარებით.

პარლამენტში წარდგენილი **მონაცემთა დაცვის** შესახებ კანონპროექტი ჯერ განხილული და დამუშავებული არ არის. სახელმწიფო ინსპექტორი განაგრძობდა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების მონიტორინგს. 2021 წლის ბოლოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაშლის შემდეგ შეიქმნა მონაცემთა დაცვის სააგენტო.

3. ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები

3.1. ეკონომიკური განვითარება

საქართველოს ოფიციალურმა ეკონომიკამ 2021 წელს 10,4%-იანი წლიური მატება აჩვენა, პანდემიასთან დაკავშირებული ერთწლიანი ვარდნის შემდეგ. 2022 წლის პირველ კვარტალში მშპ-ს ზრდამ 14,4%-ს მიაღწია. მოთხოვნათა მხრივ, აღდგენა განპირობებული იყო ოჯახების მიერ მოხმარებით და სუფთა ექსპორტით. საქართველოში უმუშევრობის დონე 2021 წლის მეოთხე კვარტალში 19%-მდე შემცირდა, რაც 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1,4 პროცენტით შემცირდა.

სამომხმარებლო ფასების **ინფლაცია** გაიზარდა 13,9%-მდე 2021 წლის დეკემბერში, რაც 2011 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი ყოველთვიური მაჩვენებელია. შემდეგ, 2022 წლის მაისში ის 13,3%-მდე შემცირდა. მაღალი ინფლაცია დიდწილად გამოწვეულია გლობალური და შიდა საქონლის ფასების (განსაკუთრებით საკვების)

ზრდით და კომუნალური ხარჯების გაზრდით სუბსიდიების მოხსნის შემდეგ. ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2021 წლის მარტიდან 2022 წლის მარტამდე 300 საბაზისო პუნქტით 11.0%-მდე გაზარდა. 2021 წლის განმავლობაში ქართული ვალუტა ლარი ევროსთან მიმართებაში 14%-ით გამყარდა. 2022 წლის თებერვალში უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომის შემდეგ, ლარი მკვეთრად გაუფასურდა, სანამ ხელახლა გამყარებას დაიწყებდა.

პროგნოზირებულზე მაღალი საგადასახადო შემოსავლებით, 2021 წელს სახელმწიფო მართვის სექტორის **დეფიციტი** მშპ-ს 6.3%-ს შეადგენდა, ბიუჯეტის განახლებული კანონით გათვალისწინებული 7%-ის ნაცვლად. სახელმწიფო ვალი 2021 წლის ბოლოს მშპ-ს 52%-მდე შემცირდა ერთი წლის წინანდელი 62%-დან.

საქართველოს საგადამხდელო ბალანსი 2021 წელს მკვეთრად უარყოფითი დარჩა, რაც მშპ-ს 9.8%-ს უტოლდება. საქონლით ვაჭრობა აღდგა 2020 წელს დაფიქსირებული კლების შემდეგ; წინა წელთან შედარებით ექსპორტი და იმპორტი, შესაბამისად, 27%-ით და 24%-ით გაიზარდა. სავაჭრო დეფიციტი ნაწილობრივ დაბალანსდა ფულადი გზავნილების რეკორდულად მაღალი შემოდინებით. 2021 წელს საქართველოს საერთაშორისო რეზერვები კიდევ უფრო გაიზარდა, ძირითადად, ოფიციალური სესხების შემოდინების გამო.

2021 წელი საქართველოს **სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების** ახალი სტრატეგიის (2021-2027) განხორციელების პირველი წელია. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქვეყანას აქვს ყოვლისმომცველი და სრული სტრატეგიული ჩარჩო სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ამ სტრატეგიის პირველი სამოქმედო გეგმა ეფუძნება მთავრობის COVID-19 პანდემიასთან გამკლავების ანტიკრიზისულ გეგმას სოფლის მეურნეობისთვის. პრიორიტეტებად რჩება პროდუქტიულობის გაზრდა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ადამიანური კაპიტალის მწვავე დეფიციტის აღმოფხვრა, ძირითადი საკვები პროდუქტების იმპორტის ფასების სტაბილიზაცია, ექსპორტის/იმპორტის ბაზრების დივერსიფიკაცია და სექტორის ეკოლოგიურად დაბალანსება. მთავრობა ასევე მუშაობს ევროკავშირის LEADER მიდგომის (სათემო აქტიური ჩართულობით ადგილობრივი განვითარების) ინსტიტუციონალიზაციაზე.

2021 წლის 18 მაისს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმს უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსა და 29 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას შორის სამოქალაქო კომიტეტის შექმნის შესახებ. ამ პლატფორმამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის განვითარების სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული პროგრამების ეფექტიან განხორციელებას.

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი აღმოჩნდა COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიმართ: 2021 წელს დაფიქსირდა ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა 2020 და 2019 წელთან შედარებით. თუმცა, ღირებულების ჯაჭვის გაყოლებაზე, ეს მდგრადობა მნიშვნელოვნად მცირდება: წვრილი მოვაჭრეები, გადამამუშავებლები, მომსახურების მიმწოდებლები, საცალო მოვაჭრეები და მასპინძლობის სექტორი უფრო მეტად დაზარალდნენ, რამდენიმე ბიზნესმა ფინანსური და ადამიანური რესურსებთან დაკავშირებული სირთულეები აღნიშნა.

2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო აგროწარმოების საინვესტიციო პროგრამების მნიშვნელოვანი ზრდა წინა წელთან შედარებით. COVID-19 პანდემიაზე რეაგირებიდან რეგულარულ პროგრამებზე გადასვლა დაიწყო. გარდა ამისა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაამტკიცა 2021-2024 წლების ინსტიტუციური რეფორმის სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის განვითარების სააგენტოს ეტაპობრივად გარდაქმნას ევროკავშირში არსებულთა მსგავს ფინანსური ფონდების მმართველ / დამფინანსებელ სააგენტოდ (paying agency).

მთავრობამ გააგრძელა საპილოტე ინტეგრირებული **რეგიონალური განვითარების** პროგრამის განხორციელება, რომელიც ევროკავშირთან ერთობლივად იდენტიფიცირებულ სამიზნე რეგიონებზეა მიმართული (კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი). ღია და კონკურენტუნარიანი პროექტების განაცხადების წარდგენაზე გამოცხადებული კონკურსების საშუალებით, ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ღონისძიებებისთვის 25 მუნიციპალიტეტმა მთლიანობაში 29 მილიონი ლარის ოდენობის დაფინანსება მიიღო. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ მხარი დაუჭირა საინოვაციო ჰაბებს, მათ შორის, სამიზნე რეგიონებში - კახეთსა და გურიაში. 2019-2025 წლებისთვის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელებაში მიღწეული წინსვლა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებსა და კვლევებს ითვალისწინებს, COVID-19 პანდემიის გამო შეიზღუდა. დეცენტრალიზაციის პროცესის ფარგლებში, აღინიშნება საქართველოს წინსვლა იმერეთის საპილოტე რეგიონისთვის „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ (smart specialisation) სტრატეგიის პროექტთან დაკავშირებით.

რაც შეეხება **სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმას**, მთავრობამ ახალი სტრატეგია 2021 წლის ივნისში დაამტკიცა. სტრატეგია ეფუძნება მიღწეულ წინსვლასა და დარჩენილ გამოწვევებს. იგი ასახავს სამ სტრატეგიულ მიმართულებას: (i) დარგობრივ სამინისტროებში მენეჯერული კონტროლის სისტემის დანერგვა (ფინანსური მართვისა და კონტროლის რეფორმის მეორე

ეტაპი); (ii) შიდა აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება; და (iii) ჰარმონიზაციის ცენტრის კომპეტენციისა და შიდა შესაძლებლობების გაძლიერება. სტრატეგიას ახლავს სამწლიანი სამოქმედო გეგმა და შედეგების ცხრილი.

სახელმწიფო აუდიტის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების პროექტი, რომელიც სახელმწიფო აუდიტის მანდატს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ავრცელებს, წარედგინა პარლამენტს. 2022 წლის ივლისის მდგომარეობით, ჯერ არ არის მიღებული.

საგადასახადო სისტემის მიმართულებით, გრძელდება მუშაობა ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) დაბრუნების ავტომატური სისტემა მოქმედებს. ჯერჯერობით ახალი სისტემით დაბრუნებულმა თანხამ 930 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც 100 მილიონი ლარით მეტია რეფორმამდე ბოლო 11 წლის განმავლობაში დაბრუნებულ მთლიან თანხაზე. შესასრულებელია გარკვეული სამუშაო აქციზის გადასახადის შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით.

მთავრობა ამზადებს **ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების** სტრატეგიას. ეს სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოს საზოგადოებისა და ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის მიღწევას. ეს არის ერთიანი დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში ელექტრონული კომუნიკაციების, ინფორმაციის და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სერვისების განვითარების სამომავლო მიმართულებას ასახავს.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელება გრძელდება. კანონი ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ ჯერ არ არის მიღებული, რაც ხელს უშლის ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით კანონქვემდებარე აქტების მიღებას.

აუდიოვიზუალური მედია სერვისებისა და რადიოს შესახებ კანონპროექტი, რომელიც ჩაანაცვლებს მაუწყებლობის შესახებ მოქმედ კანონს, პარლამენტს 2018 წელს წარედგინა, თუმცა მისი მიღება მას შემდეგ არ მომხდარა. სპექტრის რეგიონალური შეთანხმება (RSA) 5G სიხშირეებისთვის მომზადებულია, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო **ელექტრონული კომუნიკაციების** შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტში განახლებებს ამზადებს, რათა ის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს. სამინისტრო ასევე ამზადებს კანონპროექტს ელექტრონული კომერციის შესახებ.

საქართველო ახორციელებს 2020-2023 წლების საქართველოს ოფიციალური **სტატისტიკის** განვითარების ეროვნულ სტრატეგიას, რომლის მიზანია უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის წარმოების სანდოობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონი ჯერ არ არის მიღებული.

რაც შეეხება **სამრეწველო და სამეწარმეო პოლიტიკას,** 2021 წლის 15 ივლისს ძალაში შევიდა 2021-2025 წლების მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიის განხორციელება. სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები შეესაბამება ევროკავშირის პრიორიტეტებს და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა ქალთა მეწარმეობა, დიგიტალიზაცია და ეკოლოგიურად დაბალანსებული ზრდა.

2021 წლის 19 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება ტექნოლოგიების გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ. მან განაახლა ტექნოლოგიების საჯაროდან კერძო სექტორში გადაცემის ვარიანტები, რათა დაპატენტებული გამოგონებები ხელმისაწვდომი ყოფილიყო და გაადვილებულიყო გამომგონებლების მიერ დამატებითი სარგებელის მიღება. 2021 წლის ნოემბერში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ ვენჩურული კაპიტალის ფონდი დააარსა.

2021 წლის აგვისტოში მიღებული **კანონი მეწარმეთა შესახებ** სრულად ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან. ის მიზნად ისახავს ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას, სათანადო საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფას, გამჭვირვალობის გაზრდას და შიდა კორპორატიული ურთიერთობებისა და დავების გადაწყვეტის ეფექტიანი მარეგულირებელი ჩარჩოს მხარდაჭერას, როგორც ეს ასოცირების შესახებ შეთანხმებით არის გათვალისწინებული.

2021 წლის აპრილსა და სექტემბერში, საქართველომ შეათანხმა სტრატეგია და მიიღო სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი.

რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი ძალაში 2021 წლის 1 აპრილს შევიდა. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი სიცოცხლისუნარიანი გადახდისუუნარო საწარმოების ეფექტიანი რესტრუქტურიზაციისთვის, და ამავდროულად გაკოტრების და ლიკვიდაციის

პროცესში კრედიტორებისთვის გონივრული დაკმაყოფილების შეთავაზებასთან დაკავშირებით.

2022 წლის 29 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი **მომხმარებელთა უფლებების** დაცვის შესახებ, რომლის მიზანი იყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში. კანონი ძალაში 2022 წლის 1 ივნისს შევიდა. თუმცა, სავარაუდო დარღვევებზე განცხადებებისა თუ საჩივრების განხილვა და აღსრულება 2022 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყება.

რაც შეეხება **მეთევზეობას**, საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას სოფიას დეკლარაციის[23] ფარგლებში და თევზჭერის ახალი მართვის დანერგვას. მის წყლებში თევზჭერის მონიტორინგის, კონტროლისა და მეთვალყურეობის დონე არ არის ბოლომდე საკმარისი და ქვეყანა ამ ამოცანების შესასრულებლად უცხოურ ექსპერტიზაზე დიდად არის დამოკიდებული. საქართველო ევროკავშირთან ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის ფარგლებში რეგიონალური მართვის ზომების მიმართულებით მჭიდროდ თანამშრომლობს.

საქართველო აგრძელებს მუშაობას **უკანონო, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი თევზჭერის** წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრაზე. გრძელდება შავი ზღვის ფარგლებს გარეთ მოქმედი საქართველოს ფლოტის მიერ თევზჭერისა და თევზჭერასთან დაკავშირებული საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს მიღების პროცესი.

შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის (CMA) ფარგლებში, საქართველომ გააგრძელა აქტიური მუშაობა ეროვნული პრიორიტეტებისა და პროექტების იდენტიფიცირებაზე, საერთო საზღვაო დღის წესრიგის ეროვნული ჰაბის მხარდაჭერით და რეგიონულ დონეზე აქტივობებით. ასევე საქართველო 2022 წელს საერთო საზღვაო დღის წესრიგს კოორდინაციას გაუწევს.

შავი ზღვის აუზისთვის 2014-2020 წლების ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის პროგრამის განხორციელება გაგრძელდა. შავი ზღვის აუზისთვის ახალი 2021-2027 Interreg NEXT ტრანსნაციონალური თანამშრომლობის პროგრამისთვის მზადება დასკვნით ეტაპზე გადავიდა.

საქართველომ აკვაკულტურის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება დაიწყო. აკვაკულტურის პროდუქტები პრიორიტეტულ პროდუქტად რჩება, რომლისთვისაც საჭიროა ნებართვა ევროკავშირის ბაზარზე დასაშვებად.

[23] http://www.fao.org/gfcm/meetings/blackseaconference2018/sofiadeclaration/en/

თუმცა, აკვაკულტურის ნარჩენების მონიტორინგის გეგმამ ევროკავშირის სურსათის უვნებლობის სტანდარტების მიღწევაში დარჩენილი გამოწვევები გამოავლინა.

ტურიზმის სექტორის მხარდაჭერა კვლავ პრიორიტეტად რჩებოდა პოსტპანდემიური ეკონომიკური აღდგენისთვის. საანგარიშო პერიოდში ქვეყანა ხელახლა გაიხსნა საერთაშორისო ვიზიტორებისთვის. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2021 წელს ქვეყანამ 1 721 242 საერთაშორისო ვიზიტორს უმასპინძლა, რაც 13,7%-ით მეტია 2020 წელთან შედარებით, მაგრამ 77,7%-ით ნაკლები 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2022 წლის პირველ ექვს თვეში საქართველოს 1,439,517 საერთაშორისო ვიზიტორი ესტუმრა, რაც 210,2%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მაგრამ 55,4%-ით ნაკლები 2019 წელთან მიმართებაში.

საინვესტიციო კლიმატის, ადგილობრივი ბიზნესების კონკურენტუნარიანობის და დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველო წინ წაიწია თავისი კანონის **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის** შესახებ ევროკავშირისა და საერთაშორისო პრაქტიკებთან, განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. ნაკლები წინსვლა იყო მიღწეული არაფინანსური ანგარიშგების, მათ შორის კორპორატიული მართვისა და გამჭვირვალობის მიმართებაში.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ ყველა რეგიონი არ მოიცვა. მან გახსნა 5 ოფისი თბილისში და დაგეგმილი 14 რეგიონული ოფისიდან - 6. COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ასევე შეიზღუდა მისი **დასაქმების სერვისები.**

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამები გაფართოვდა COVID-19 პანდემიის ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედების აღმოსაფხვრელად. 2021 წელს შენარჩუნდა დროებითი ფულადი შემწეობა უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის, იმ ადამიანებისთვის, ვინც პანდემიის გამო სამუშაო დაკარგა, და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის.

მთავრობამ სოციალური დაცვის სისტემისადმი ინტეგრირებული და ყოვლისმომცველი მიდგომის ვალდებულება აიღო, რაც გულისხმობს სოციალური, ჯანდაცვისა და სადაზღვევო სექტორების მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებას და სოციალური კოდექსის მიღებაზე მუშაობას.

2021 წლის იანვარში ძალაში შევიდა ცვლილებაშეტანილი შრომის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს შრომის უფლებების გაუმჯობესებას, ჯანმრთელობისა

და შრომის უსაფრთხოებას, მასობრივი დათხოვნის საკითხს, ანტიდისკრიმინაციასა და გენდერულ თანასწორობას. ასევე 2021 წელს შრომის ინსპექცია გახდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სააგენტო, დამატებული კადრებით და გაფართოებული მანდატით.

2022 წლის მაისში საქართველომ შეიმუშავა 2022-2030 წლების **საზოგადოებრივი ჯანდაცვის** ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგია და თანდართული სამოქმედო გეგმა. საქართველომ ასევე შეიმუშავა 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის ახალი სტრატეგია და თანდართული სამოქმედო გეგმა. არცერთი მათგანი ჯერ არ არის მიღებული. საქართველომ განაგრძო მუშაობა სისხლის უსაფრთხოების შესახებ კანონების ევროკავშირის კანონმდებლებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. ქსოვილის გადანერგვის შესახებ კანონპროექტი მთავრობას ჯერ დასამტკიცებლად არ წარუდგენია. საქართველო გამოწვევების წინაშე დგას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის შესახებ ჩარჩო კონვენციის 5(3) მუხლის განხორციელებასთან დაკავშირებით, თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმზე მიერთებასა და თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის ფართო ქსელის განვითარების მიმართებაში.

საქართველომ 2022 წლის 26 ივლისს ერთიანი ბაზრის პროგრამასთან ასოცირების ინტერესი გამოხატა.

3.2. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია (მთლიანი ვაჭრობის 21,1%), რასაც მოსდევს თურქეთი (15%) და რუსეთი (11,4%). მთლიანი **ორმხრივი ვაჭრობა** 2021 წელს შეადგენდა 2,8 მილიარდ ევროს, ევროკავშირის დადებითი სავაჭრო ბალანსით 1,2 მილიარდი ევროს ოდენობით. ევროკავშირის ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია ქიმიკატები (21%), მინერალური პროდუქტები (17%), მექანიზმები (17%) და სატრანსპორტო აღჭურვილობა (12%), ხოლო ევროკავშირის იმპორტის 53% საქართველოდან წიაღისეული (ძირითადად სპილენძის მადნები). 2021 წელს ევროკავშირის იმპორტი გაიზარდა 6.3%-ით, ხოლო ევროკავშირის ექსპორტი 28.4%-ით და მიაღწია უმაღლეს დონეს 2014 წელს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) წინასწარ ძალაში შესვლის შემდეგ, (გარდა 2018 წლის ექსპორტის დონისა). ეს წარმოადგენს ევროკავშირის იმპორტის 26%-ით ზრდას და ევროკავშირის ექსპორტის 11%-იან ზრდას 2014 წელთან შედარებით. მთლიანი

ორმხრივი ვაჭრობა 15%-ით გაიზარდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA)[24] ძალაში შესვლის შემდეგ.

საერთო ჯამში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი კარგად მიმდინარეობს, გარკვეული შეფერხებებით მომსახურების სფეროში. მოქმედებს ყველა ძირითადი ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებაზე საქართველოში.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების საგზაო რუქის 1 ფაზის პოზიტიურმა შეფასებამ განაპირობა საქართველოსა და ევროკავშირის ოპერატორების ორმხრივი წვდომა საქონლის საჯარო შესყიდვებზე ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების დონეზე 2022 წლის 8 ივნისიდან. პარლამენტს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონპროექტი წარედგინა. საქართველომ ასევე განსაზღვრა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესს ხელს შეუწყობს.

მთავრობამ განაგრძო **კონკურენციის** შესახებ კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმა, განსაკუთრებით დემპინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

კვლავ მიმდინარეობს **ეროვნული სანიტარიული და ფიტოსანიტარული კანონმდებლობის** ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში (DCFTA) განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. 2021 წელს ევროკავშირის ბაზარზე ნებადართული პროდუქციის სიას საქართველოდან შინაური ცხოველების საკვები პროდუქტები დაემატა. ლოკოკინებთან დაკავშირებით ნებართვა 2022 წლის იანვარში იყო მიღებული. მთავრობამ პრიორიტეტებად დაასახელა: (i) მუშაობა სურსათის უვნებლობის გასაუმჯობესებლად; (ii) ლაბორატორიული სერტიფიცირების პროცესები; და (iii) შემდგომი საექსპორტო შესაძლებლობების განვითარება (მაგ. თხილის, ლოკოკინების, ბაყაყის ფეხებისა და დედა ფუტკრების ექსპორტის მიმართულებით). საქართველომ "ფერმიდან მაგიდამდე" სტრატეგიასთან ასოცირების ინტერესი გამოხატა.

[24] წყარო: Eurostat COMEXT

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით, საქართველო აწყდება გამოწვევებს სუსტ განხორციელებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით, როგორც მეკობრეობის, ისე კონტრაფაქციის სფეროებში.

ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებით, საქართველოს 2020 წლის 1 იანვრიდან აქვს ბაზარზე ზედამხედველობის დამოუკიდებელი სააგენტო. გარდა ამისა, საქართველომ ბაზარზე ზედამხედველობის მონაცემთა ბაზა დანერგა. პლატფორმა შემოსავლების სამსახურის ვებსაიტთან არის ინტეგრირებული. ეკონომიკურმა ოპერატორებმა უნდა ატვირთონ შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის შესაბამისობის დეკლარაცია, სანამ თავიანთი პროდუქცია ქართულ ბაზარზე განთავსდება.

რაც **სტანდარტებსა და მეტროლოგიას** შეეხება, სტანდარტების უმეტესობა (ჯერჯერობით 12500) მიღებულია. აქედან 150 ქართულად ითარგმნა და ტექნიკური კომიტეტის მიერ იყო მიღებული.

საერთო ჯამში, **საბაჟო** მიმართულებით საქართველოსთან თანამშრომლობა კარგია. საქართველო მუშაობს ახალ კომპიუტერიზებულ სატრანზიტო სისტემაზე (NCTS P5), რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას საერთო სატრანზიტო კონვენციას 2024 წელს შეუერთდეს. ეს ევროკავშირში საქონლის ტრანზიტს ხელს შეუწყობს. საქართველო მზად არის მოითხოვოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების ურთიერთ აღიარება მას შემდეგ, რაც ქვეყანა ეროვნულ სისტემას შეიმუშავებს.

2021 წლის ივლისში საქართველო გახდა საბაჟო და საგადასახადო (Customs and Fiscalis) პროგრამების სრულუფლებიანი წევრი 2022-2027 წლებისთვის.

სერვისებთან დაკავშირებით, საქართველო საფოსტო და სატელეკომუნიკაციო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესშია.

ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების მიმართებაში, არის კარგი წინსვლა საკანონმდებლო კუთხით. შემუშავდა ახალი კანონი ბიომრავალფეროვნების შესახებ. რაც შეეხება ტყის მდგრად მართვას, 2020 წლის 22 მაისს მიღებულ იქნა ტყის ახალი კოდექსი და გაკეთდა ტყის ეროვნული ინვენტარიზაცია.

4. ტრანსპორტი, ენერგოეფექტურობა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, გარემოს დაცვა და სამოქალაქო დაცვა

2021 წლის მაისში მთავრობამ დაიქირავა საკონსულტაციო კომპანია ანაკლიის ღრმაწყლოვანი **პორტის** ბიზნეს მოდელის განახლებისთვის, რათა ამ პროექტისთვის ახალი ტენდერი მოემზადებინა. 2022 წლის მაისში მთავრობამ საზღვაო კოდექსში ცვლილებები დაჩქარებული წესით შეიტანა. შედეგად, APM Terminals-ის გეგმა, გააფართოვოს ფოთის პორტი და გაორმაგოს მისი სიმძლავრე 2025 წლისთვის, ამჟამად გაურკვეველია.

2022 წლის ივლისში მთავრობამ მიიღო 2022-2025 წლების **საგზაო უსაფრთხოების** ეროვნული სტრატეგია.

2021 წლის აგვისტოში მთავრობამ მიიღო განახლებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც ექსპლუატაციიდან ეტაპობრივად უნდა იყოს ამოღებული ვერტმფრენები, რომლებიც 2021 წლის ბოლომდე ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ არ არიან სერტიფიცირებული.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ განაგრძეს **ენერგეტიკის** სექტორის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადება, რომელიც აუცილებელია ბაზრის ლიბერალიზაციისთვის, ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტის შესაბამისად. მთავრობამ 2021 წლის მესამე კვარტალში შენობების ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მაიმპლემენტირებელი კანონმდებლობა მიიღო. თუმცა, ამ კანონმდებლობის დანერგვა და ელექტროენერგეტიკის სექტორში მოქმედი ორგანიზებული ბაზრის ამოქმედება გადაიდო 2022 წლის ივლისისა და მარტისთვის. ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების ეროვნული გეგმის პროექტი დაინტერესებულ მხარეებთან გაფართოებული კონსულტაციების პროცესშია, რაც გამოწვეულია ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებული მედიაციით, რომელსაც ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო (EnCS) ხელმძღვანელობს. სამდივნოს შეფასებით, საქართველოს მიერ ევროკავშირის ენერგეტიკული კანონის იმპლემენტაციის საერთო მაჩვენებელი 2020 წლის 36%-დან 2021 წელს 44,5%-მდე გაიზარდა.

2021 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო კანონი **გარემოსდაცვითი** პასუხისმგებლობის შესახებ და საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ჰაერის დაბინძურებისა და სამრეწველო ობიექტებიდან ემისიების შემცირებას. 2021 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის კრიტერიუმების დასადგენად. ეს 2022 წლის ბოლომდე ყველა ზონაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი სადგურების დამონტაჟების საფუძველს უზრუნველყოფს. ასევე არის წინსვლა წრიული

ეკონომიკის ასპექტებშიც: 2021 წელს მიღებულ იქნა 2022-2026 წლების პლასტმასის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამა.

2021 წლის აპრილში მთავრობამ თავისი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი (NDC) განაახლა. განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი სახავს უპირობო მიზანს 2030 წლისთვის 1990 წელთან შედარებით სათბურის გაზების მთლიანი შიდა ემისიების 35%-ით შემცირებასთან დაკავშირებით, ხოლო 2030 წლისთვის 1990 წელთან შედარებით სათბურის გაზების მთლიანი ემისიების 50 - 57%-ით შემცირებას, რაც საერთაშორისო მხარდაჭერაზე იქნება დამოკიდებული. საქართველომ ასევე მიიღო 2030 წლის **კლიმატის ცვლილების** სტრატეგია და თანმხლები სამოქმედო გეგმა. საქართველო ასევე შეუერთდა „მეთანის გლობალურ ვალდებულებას“ - ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს 2030 წლისთვის 2020 წლის დონესთან შედარებით ერთობლივად მინიმუმ 30%-ით მეთანის გლობალური ემისია შეამციროს. წყლის რესურსების მართვის კანონი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის დანერგვას, მთავრობამ 2021 წლის ნოემბერში დაამტკიცა, მაგრამ იგი პარლამენტმაც უნდა მიიღოს.

ევროკავშირი და საქართველო თანამშრომლობდნენ **სამოქალაქო დაცვის ორგანოების** ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, რაც მათი ანალიტიკური, ტექნიკური და საგანგებო სიტუაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერებას, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაღრმავებას და ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან კოორდინაციის გაზრდას მოიცავდა. 2021 წელს საქართველოს სამოქალაქო დაცვის სისტემა შეფასდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული პროგრამის PPRD East 3-ის მიერ, რომელიც ფოკუსირებულია შესაძლებლობების ხარვეზებზე ისეთ სფეროებში, როგორიც არის: მრავალგვარი რისკების შეფასება, ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დაგეგმვა, ადრეული გაფრთხილების სისტემები, სამოქალაქო დაცვის მოხალისეობა, უწყებათშორისი კოორდინაცია, მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერა, საზოგადოების ინფორმირებულობა და კრიზისულ ვითარებაში კომუნიკაცია.

5. მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები

საქართველო ევროკავშირში ლეგალური **შრომითი მიგრაციის** ხელშეწყობაზე მუშაობას აგრძელებს. იგი აწარმოებს მოლაპარაკებებს ორმხრივ შეთანხმებებთან დაკავშირებით შრომითი მიგრაციის თაობაზე ევროკავშირის დაინტერესებულ წევრ ქვეყნებთან. 2021 წელს სეზონური მუშაკები საქართველოდან გერმანიაში

პირველად მუშაობდნენ ორივე ქვეყნის დასაქმების სააგენტოებს შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში.

2021 წლის მარტში განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტრო გაიყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროებად. **კულტურის სექტორში** დაწესებულმა შეზღუდვებმა, ასევე რეორგანიზაციებმა და კულტურის სფეროში მენეჯმენტის ფართომასშტაბიანმა ცვლილებებმა კულტურული ინსტიტუტებისა და აქტორების დამოუკიდებლობასთან მიმართებაში შეშფოთება გამოიწვია.

2021 წლის 8 დეკემბერს საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას **კრეატიული ევროპის (Creative Europe)** 2021-2027 წლების პროგრამაში მონაწილეობის შესახებ.

ახალგაზრდული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის მიღება ჯერ არ მომხდარა.

მთავრობამ შეიმუშავა 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ახალი სტრატეგია, მაგრამ ოფიციალურად ჯერ არ მიუღია. COVID-19 პანდემიამ შეაფერხა დასახული მიზნის მიღწევა, რომელიც 2022 წლისთვის განათლების სახელმწიფო დაფინანსების მშპ-ს 6%-მდე თანდათან გაზრდას ითვალისწინებდა. შემუშავდა პროფესიული ორიენტაციის ეროვნული სტრატეგია.

საქართველომ **პროფესიული განათლებისა და გადამზადების** (VET) რეფორმა COVID-19 პანდემიის მიუხედავად განაგრძო. 2022-2027 წლების ახალი პროფესიული განათლების სტრატეგია და თანმხლები სამოქმედო გეგმა შემუშავდა და განათლებისა და მეცნიერების ყოვლისმომცველი სტრატეგიის ნაწილი გახდა, მაგრამ მათი ოფიციალური მიღება ჯერ არ მომხდარა. პროგრამების ონლაინ ავტორიზაცია და მასწავლებელთა მომზადების პროგრამები მორგებული იყო დისტანციური სწავლებისა და მონაწილეობის ეტაპობრივი დანერგვისთვის. კერძო სექტორთან თანამშრომლობით შეიქმნა პროფესიული უნარების სააგენტო, სამინისტროსგან დამოუკიდებელი ახალი სააგენტო, რომელიც პროფესიული განათლების საკითხებზე მუშაობს.

2021 წლის 24 ნოემბერს გამოქვეყნდა 2022 წლის საგრანტო კონკურსი **ერასმუს+ (Erasmus+)** პროგრამის ფარგლებში. ეს იყო ახალი პროგრამის პირველი კონკურსი, რომელიც მოიცავდა საქართველოსთვის ხელმისაწვდომ შესაძლებლობათა სრულ სპექტრს, როგორიცაა შესაძლებლობების გაძლიერება უმაღლესი განათლების სფეროში, საერთაშორისო კრედიტების მობილობა ან ახალი ქმედებები, როგორიცაა შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული განათლების სფეროში და ტრენინგი ან ვირტუალური გაცვლა, ისევე როგორც ქმედებები, რომლებიც უკვე

ხელმისაწვდომი იყო 2021 წლის საგრანტო კონკურსში, როგორიცაა ერასმუს მუნდუსის საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა ან ჟან მონეს პროგრამის ქსელის პროექტები.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის პროექტის მეორე ფაზა 2021 წელს გაგრძელდა. ახალი სკოლის შენობისა და საერთო საცხოვრებლის მშენებლობა 2022 წლის მეორე ნახევრიდან იგეგმება. სასწავლო გეგმა მზად არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საბოლოო დამტკიცებისთვის.

კვლევისა და ინოვაციების სფეროში საქართველომ პროგრამა „ჰორიზონტი 2020"-ის (Horizon 2020) პოლიტიკის ხელშეწყობის ინსტრუმენტის რეკომენდაციების ეტაპობრივი განხორციელება გააგრძელა. ეს რეკომენდაციები შეეხებოდა საგრანტო სქემის გამარტივებას და უნიფიცირებას, კვლევისა და ინოვაციების საბჭოს რესტრუქტურიზაციასა და განახლებას, კვლევისა და ინოვაციების სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნას, კვლევის პერსპექტიული სფეროების განსაზღვრას /პრიორიტეტების დადგენას და ერთობლივი კვლევისა და განვითარების წახალისებას. საქართველოს მონაწილეობის დონე პროგრამაში „ჰორიზონტი 2020" კვლავ მაღალი იყო. 2020 წლის დეკემბრამდე, ორგანიზაციებმა საქართველოდან 58 – ჯერ მიიღეს მონაწილეობა „ჰორიზონტი 2020" –ის ფარგლებში გრანტებით დაფინანსებულ მუშაობაში, და პირდაპირ ევროკავშირისგან 8,71 მილიონი ევროს ოდენობის თანხა მიიღეს.

2021 წლის 7 დეკემბერს, ევროკომისიამ და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ანიჭებს საქართველოს ასოცირების სტატუსს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამა **ჰორიზონტ ევროპასთან (Horizon Europe)**, 2021-2027 წლებში. ჰორიზონტ ევროპასთან ასოცირების შეთანხმება მისი ხელმოწერის დღიდან წინასწარ ძალაში შედის. მკვლევარებს, ინოვატორებსა და კვლევით ორგანიზაციებს საქართველოდან შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ 95,5 მილიარდ ევროს ღირებულების პროგრამაში იმავე პირობებით, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორგანიზაციებს. საქართველოს, როგორც ასოცირებული ქვეყნის, მონაწილეობა ამ პროგრამაში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ამაღლებას.

6. ფინანსური მხარდაჭერა

2021 წელს საქართველომ **ევროკავშირისგან მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოცულობის საგრანტო დახმარება მიიღო**. ეს აჩვენებს ევროკავშირის მტკიცე სოლიდარობას საქართველოს მიმართ ამ უპრეცედენტო კრიზისის დროს. ევროკავშირმა კვლავ განაგრძო ევროპის გუნდის (Team Europe)

მიდგომა COVID-19 პანდემიის დასაძლევად, მათ შორის მჭიდრო და რეგულარული დიალოგის საშუალებით წევრ ქვეყნებთან კოორდინაციისა და წარმატებული ერთობლივი ძალისხმევის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, 2021 წლის საქართველოს მხარდაჭერის პრიორიტეტები ფოკუსირებული იყო არა მხოლოდ **მედეგობის შესახებ ხელშეკრულების (Resilience Contract)** განხორციელების გაგრძელებაზე (საბიუჯეტო დახმარება 75 მილიონი ევროს ოდენობით), არამედ მისი თანმდევი **მედეგობის პროგრამის (Resilience Facility)** ფარგლებში დამატებითი ღონისძიებების განხორციელებაზე (12.7 მილიონი ევროს ღირებულებით). ეს დამატებითი ღონისძიებები მიმართულია შემდეგ სფეროებზე: გარემოს დაცვა, ჯანდაცვის სისტემის რეფორმა (ტელემედიცინა) და სოციალური დაცვა (ახალი სოციალური კოდექსის შემუშავება). გარდა ამისა, 2021 წელს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს რვა არსებითი გრანტი გადაეცა, რომელიც მოიცავს ზედამხედველობას, გენდერს, ადამიანის უფლებებს და შესაძლებლობების განვითარებას, და ასევე მხარს უჭერს ამ ორგანიზაციებს COVID-19 პანდემიის უარყოფითი შედეგების დაძლევაში.

კიდევ ერთი პრიორიტეტი იყო სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD IV) მეოთხე ფაზისა და "ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის" (EU 4 Integrated Territorial Development) პროგრამის ფარგლებში ძირითად პროექტებთან კონტრაქტების გაფორმება, რაც შესრულდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ევროკავშირმა შეასრულა თავისი ვალდებულებები საბიუჯეტო დახმარების კუთხით, რომელიც წლის ბოლომდე უნდა გადმოირიცხოს. **საბიუჯეტო დახმარების** ხუთი პროგრამის ფარგლებში 46 500 000 ევროდან (ყველა პირობის შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული მაქსიმალური თანხა) გაიცა 34 750 000 ევრო.

2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო აქტორებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და პარტნიორებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავდა 2021-2027 წლების მრავალწლიანი ინდიკატური პროგრამა. იგი ასახავს ევროპის გუნდის მიდგომას და მოიცავს ევროპის გუნდის ორ ისტორიაში პირველ ინიციატივას საქართველოსთვის, რომელშიც მონაწილეობენ წევრი სახელმწიფოები და ევროპული ფინანსური ინსტიტუტები. ასევე მიღწეულია წინსვლა ქმედებების დაზუსტებასთან დაკავშირებით 2021 წლის წლიური სამოქმედო პროგრამის სამი ძირითადი კომპონენტის ფარგლებში - ევროკავშირი გონივრული ეკონომიკური განვითარებისთვის (EU 4 Smart Economic Development), ევროკავშირის ეკოლოგიური დაკავშირების პროგრამა (EU Green Connectivity Programme) და ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და ევროკავშირი-საქართველოს მიგრაციის

მართვის (EU-Georgia migration management) მხარდაჭერა. ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის მიზნად ისახავს 3,9 მილიარდი ევროს ოდენობის საჯარო და კერძო ინვესტიციების მობილიზებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. 2021 წელს ევროპის საფინანსო ინსტიტუტებთან და სამთავრობო ორგანოებთან თანამშრომლობით კარგი საფუძველი ჩაეყარა ამ გეგმის ფარგლებში საქართველოსთვის საფლაგმანო პროექტების რეალიზებისთვის.

COVID-19 პანდემიის გამკლავებასთან დაკავშირებული ევროკავშირის **მაკროფინანსური დახმარების პროგრამის** ფარგლებში, საქართველოსთვის 2020-2021 წლებში 150 მილიონი ევრო გახდა ხელმისაწვდომი. პირველი ტრანში (75 მილიონი ევრო) 2020 წლის ნოემბერში გაიცა. საქართველოს მთავრობამ მეორე ტრანშის (75 მილიონი ევრო) მოთხოვნისგან თავი შეიკავა.

7. დასკვნითი შენიშვნები და სამომავლო პერსპექტივა

2021 წლის განმავლობაში და 2022 წლის პირველ ნახევარში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება გრძელდებოდა. თუმცა შეშფოთებას კვლავ იწვევს კანონის უზენაესობისა და მმართველობის საკვანძო სფეროები (მათ შორის სასამართლო სისტემა); ამასთანავე ადამიანის უფლებების მიმართებაში არსებითი უკუსვლა მოხდა. ევროკავშირი აგრძელებდა საქართველოს გვერდში დგომას და უპრეცედენტო და არსებით ზომებს ახორციელებდა საქართველოს დასახმარებლად COVID-19 პანდემიით გამოწვეულ სანიტარიულ და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავებაში.

2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიანიჭა და გამოთქვა მზადყოფნა კანდიდატის სტატუსის მინიჭებისა მას შემდეგ, რაც საქართველოს მიერ გაწევრიანების შესახებ წარდგენილი განაცხადის შესახებ კომისიის მოსაზრებაში განსაზღვრული პრიორიტეტული საკითხების იქნება გადაწყვეტილი. ეს არის ისტორიული მომენტი ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებში. ახლა საქართველოს ხელშია, გააკეთოს ის, რაც აუცილებელია შემდგომი ნაბიჯის გადასადგმელად ინკლუზიური და პარტიათა შორის თანამშრომლობის საშუალებით, ევროპის გზით მისი შემდგომი წინსვლისთვის. ევროკავშირი ამ საქმეში საქართველოს მხარდაჭერას გააგრძელებს. ევროკომისია საქართველოს მიერ პრიორიტეტების შესრულების შესახებ ანგარიშს წარადგენს 2023 წლიდან და მას შემდეგ გაფართოების პაკეტის ფარგლებში. გარდა ამისა, 2022 წლის ბოლომდე კომისია წარადგენს თავის შეფასებას საქართველოს შესაძლებლობაზე, წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები აიღოს.

განახლებული და სერიოზული ვალდებულება დემოკრატიული კონსოლიდაციისა, სასამართლო რეფორმებისა და ქმედებებისა პოლიტიკური პოლარიზაციის შესამცირებლად და კანონის უზენაესობის გასაძლიერებლად, 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად, გადამწყვეტი იქნება. ასევე საჭიროა დამატებითი ძალისხმევა ძირითადი უფლებების მეტი პატივისცემის უზრუნველსაყოფად, მათ შორის პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემოსა და გენდერული თანასწორობის გარანტირების აუცილებლობის ჩათვლით. ეს არის არსებითი პრიორიტეტები საქართველოსთვის ევროპულ გზაზე წინსვლისთვის.

და ბოლოს, უმნიშვნელოვანესია ინკლუზიური, ეკოლოგიურად დაბალანსებული და მდგრადი ზრდის უზრუნველყოფა და შემდგომი წინსვლა ციფრული კომპეტენციების გასაძლიერებლად და ციფრული წიგნიერების ასამაღლებლად. შრომის ინსპექციის დამატებითი თანამშრომლებით უზრუნველყოფა და გაფართოებული მანდატი ქმნის შესაძლებლობას გაძლიერდეს ზედამხედველობა შრომის უსაფრთხოებასა და შრომით უფლებებთან დაკავშირებით. სტრუქტურული რეფორმები გადამწყვეტი რჩება, რადგანაც მათი საშუალებით საქართველოს ეკონომიკა ნაკლებად მოწყვლადი ხდება საგარეო მოვლენებთან და შოკებთან მიმართებაში, და ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი და ვაჭრობის პოტენციალი უმჯობესდება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმისა და მრავალწლიანი ინდიკატიური პროგრამის მიერ შემოთავაზებულია შესანიშნავი ჩარჩოები ასეთი წინსვლის მისაღწევად.